

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ლიბო გრუპ
სპეციალური დანიშნულების
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა

დაუმოკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ლიბო გრუპ-ის დამფუძნებლებს

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლიბო გრუპ“-ის თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობისა და სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ლიბო გრუპ-ის საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას. ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს ბასტიონი

ელისაბედ ბუჩუკური

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას. ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების; კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.



[Handwritten signature]

საქართველო

	შენიშვნა	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
საინვესტიციო ქონება	7	447 139	424 194	424 194
გუდვილი	8	2 064 484	2 064 484	2 064 484
მიწა	7	1 743 803	1 789 743	7 774 323
ძირითადი საშუალებები	7	449 459	1 104 655	1 453 988
არამატერიალური აქტივები	8	-	17 438	19 684
სულ გრძელვადიანი აქტივები		4 704 885	5 400 515	11 736 673
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	4	2 355 580	2 637 531	2 271 550
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	3 316 573	5 600 245	3 782 286
გადახდილი ავანსები	4	-	94 297	298 691
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	-	-	14 811
გადახდილი გადასახადები	6	-	18 850	-
ფული და ფულის ექვივალენტები	3	567 586	166 339	249 193
სულ მიმდინარე აქტივები		6 239 739	8 517 261	6 616 531
სულ აქტივები		10 944 624	13 917 776	18 353 205
კაპიტალი				
სხვა რეზერვები და დაფინანსება		-	-	(235 324)
საწესდებო კაპიტალი	11	18 472	18 472	1 000
გაუნაწილებელი მოგება		8 166 720	9 981 980	8 738 197
სულ კაპიტალი		8 185 192	10 000 452	8 503 873
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო				
ვალდებულებები	10	859 695	160 053	4 441 717
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		859 695	160 053	4 441 717
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	48 047	1 944 974	3 601 968
მიღებული ავანსები	9	9 809	3 212	3 031
სავაჭრო ვალდებულებები	9	1 746 025	1 804 348	1 520 593
გადასახდელი ხელფასები	9	-	-	64 898
გადასახდელი პროცენტები		-	4 733	595
გადასახდელი გადასახადები	6	20 692	-	216 530
სხვა ვალდებულებები		75 164	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 899 737	3 757 267	5 407 614
სულ ვალდებულებები		2 759 432	3 917 320	9 849 332
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10 944 624	13 917 776	18 353 205

დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი


30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო




გვერდი 4/21

შპს ლიბო გრუპ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მოგება-ზარალის უწყისი	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	27 531 610	27 354 777
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	13	(23 541 400)	(24 267 278)
მთლიანი მოგება		3 990 211	3 087 499
საოპერაციო ხარჯები	14	(1 285 374)	(1 533 836)
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3 249 956
ხელფასის ხარჯი	14	(2 238 305)	(2 803 103)
ცვეთის ხარჯი	14	(129 880)	(188 892)
დებიტორული დავალიანების რეზერვი	14	(84 053)	(142 904)
საოპერაციო მოგება		252 598	1 668 721
არასაოპერაციო შემოსავალი		2 685 264	34 490
არასაოპერაციო ზარალი		(1 707)	-
საპროცენტო ხარჯი		(141 801)	(524 884)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(345 385)	(846 229)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(138 971)	(110 238)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		2 057 400	(1 446 862)
მოგება დაბერგვრამდე		2 309 998	221 859
მოგების გადასახადი			(52 968)
წმინდა მოგება		2 309 998	168 890
სხვა სრული შემოსავალი			0
სულ სრული შემოსავალი		2 309 998	168 890


დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო



მთავარ მუღალტერი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო




შპს ლიბო გრუპ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2017	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	2 309 998	168 890
კორექტირება:		
მოგების გადასახადი		52 968
ცვეთის ხარჯი	129 880	188 892.12
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		846 229
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	2 439 878	1 256 980
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(281 951)	363 264
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(2 283 671)	1 817 959
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(94 297)	(219 230)
ცვლილებები გადასახადებში	(39 538)	76 865
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	4 733	(4 140)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		24
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(6 597)	(181)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(16 841)	(434 260)
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	-	64 898
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(278 284)	2 922 178
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(278 284)	2 922 178
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები საინვესტიციო ქონებაში	22 945	-
ცვლილებები გრძელვადიან აქტივში - მიწა	(45 940)	(5 984 580)
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(785 077)	(458 229)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	(17 438)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(825 510)	(6 442 808)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	(494 738)	(1 642 168)
შემოსავალი ნასესხები ფულადი სახსრებიდან	1 197 285	5 362 483
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	702 547	3 720 315
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება		(116 831)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	(401 247)	82 854
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	567 586	166 339
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	166 339	249 193


დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი


30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო



შპს ლიბო გრუპ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	18 472	8 166 720	8 185 192
წმინდა მოგება		2 309 998	
დივიდენდის განაწილება სხვა ცვლილება კაპიტალში	-	(494 738)	
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	18 472	9 981 980	10 000 452
წმინდა მოგება		168 890	
დივიდენდის განაწილება სხვა ცვლილება კაპიტალში	-	(1 642 168) (23 297)	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	18 472	8 485 406	8 503 878


დირექტორი
30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო


მთავარი მხედველი
30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ლიბო გრუპ
სპეციალური დანიშნულების
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა

დაუმოკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ლიბო გრუპ-ის დამფუძნებლებს
კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ლიბო გრუპ“-ის თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობისა და სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს ლიბო გრუპ-ის საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ბასტიონი

ელისაბედ ბუჩუკური

30 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	31.12.2016	31.12.2017	31.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივი				
საინვესტიციო ქონება	7	447 139	424 194	424 194
გუდვილი	8	2 064 484	2 064 484	2 064 484
მიწა	7	1 743 803	1 789 743	7 774 323
ძირითადი საშუალებები	7	449 459	1 104 655	1 453 988
არამატერიალური აქტივები	8	-	17 438	19 684
სულ გრძელვადიანი აქტივები		4 704 885	5 400 515	11 736 673
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები	4	2 355 580	2 637 531	2 271 550
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	3 316 573	5 600 245	3 782 286
გადახდილი ავანსები	4	-	94 297	298 691
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	-	-	14 811
გადახდილი გადასახადები	6	-	18 850	-
ფული და ფულის ექვივალენტები	3	567 586	166 339	249 193
სულ მიმდინარე აქტივები		6 239 739	8 517 261	6 616 531
სულ აქტივები		10 944 624	13 917 776	18 353 205
კაპიტალი				
სხვა რეზერვები და დაფინანსება		-	-	(235 324)
საწესდებო კაპიტალი	11	18 472	18 472	1 000
გაუნაწილებელი მოგება		8 166 720	9 981 980	8 738 197
სულ კაპიტალი		8 185 192	10 000 452	8 503 873
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო				
ვალდებულებები	10	859 695	160 053	4 441 717
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		859 695	160 053	4 441 717
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	48 047	1 944 974	3 601 968
მიღებული ავანსები	9	9 809	3 212	3 031
სავაჭრო ვალდებულებები	9	1 746 025	1 804 348	1 520 593
გადასახდელი ხელფასები	9	-	-	64 898
გადასახდელი პროცენტები		-	4 733	595
გადასახდელი გადასახადები	6	20 692	-	216 530
სხვა ვალდებულებები		75 164	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 899 737	3 757 267	5 407 614
სულ ვალდებულებები		2 759 432	3 917 320	9 849 332
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10 944 624	13 917 776	18 353 205

დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შპს ლიბო გრუპ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მოგება-ზარალის უწყისი	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	27 531 610	27 354 777
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	13	(23 541 400)	(24 267 278)
მთლიანი მოგება		3 990 211	3 087 499
საოპერაციო ხარჯები	14	(1 285 374)	(1 533 836)
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3 249 956
ხელფასის ხარჯი	14	(2 238 305)	(2 803 103)
ცვეთის ხარჯი	14	(129 880)	(188 892)
დებიტორული დავალიანების რეზერვი	14	(84 053)	(142 904)
საოპერაციო მოგება		252 598	1 668 721
არასაოპერაციო შემოსავალი		2 685 264	34 490
არასაოპერაციო ზარალი		(1 707)	-
საპროცენტო ხარჯი		(141 801)	(524 884)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(345 385)	(846 229)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(138 971)	(110 238)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		2 057 400	(1 446 862)
მოგება დაბერგვრამდე		2 309 998	221 859
მოგების გადასახადი			(52 968)
წმინდა მოგება		2 309 998	168 890
სხვა სრული შემოსავალი		-	0
სულ სრული შემოსავალი		2 309 998	168 890

დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

	2017	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	2 309 998	168 890
კორექტირება:		
მოგების გადასახადი		52 968
ცვეთის ხარჯი	129 880	188 892.12
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან		846 229
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	2 439 878	1 256 980
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(281 951)	363 264
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(2 283 671)	1 817 959
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(94 297)	(219 230)
ცვლილებები გადასახადებში	(39 538)	76 865
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	4 733	(4 140)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		24
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(6 597)	(181)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(16 841)	(434 260)
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	-	64 898
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(278 284)	2 922 178
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(278 284)	2 922 178
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები საინვესტიციო ქონებაში	22 945	-
ცვლილებები გრძელვადიან აქტივში - მიწა	(45 940)	(5 984 580)
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(785 077)	(458 229)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	(17 438)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(825 510)	(6 442 808)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
განაწილებული დივიდენდი	(494 738)	(1 642 168)
შემოსავალი ნასესხები ფულადი სახსრებიდან	1 197 285	5 362 483
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	702 547	3 720 315
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	-	(116 831)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(401 247)	82 854
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	567 586	166 339
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	166 339	249 193

დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

შპს ლიბო გრუპ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების
ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	18 472	8 166 720	8 185 192
წმინდა მოგება		2 309 998	
დივიდენდის განაწილება სხვა ცვლილება კაპიტალში	-	(494 738)	
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	18 472	9 981 980	10 000 452
წმინდა მოგება		168 890	
დივიდენდის განაწილება სხვა ცვლილება კაპიტალში	-	(1 642 168) (23 297)	
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	18 472	8 485 406	8 503 878

დირექტორი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 სექტემბერი, 2019
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ლიბო გრუპ“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2007 წლის 16 ნოემბერს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საგადასახადო ინსპექცია, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, II ხეივნის ქ., მე-2 ჩიხი, N21. 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელია ორი ფიზიკური პირი მარიამ დუდუჩავა 67% წილით და ოთარ ბადაგაძე 33% წილით.

კომპანიას გააჩნია მსხვილი სადისტრიბუციო ქსელი საქართველოს მასშტაბით. დისტრიბუცია ძირითადად მოიცავს პირადი ჰიგიენისა და სარეცხი საშუალებების იმპორტს, ასევე ბავშვთა მოვლის საშუალებებს. კომპანიას გააჩნია გარკვეული ბრენდების ექსკლუზიური იმპორტის უფლება საქართველოში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

დასახელება	რეგისტრაციის ქვეყანა	კომპანიის ფლობილი წილი		საქმიანობა
		31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018	
შპს იასონი	საქართველო	100%	100%	ქონების გაქირავება

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ზასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) კლასიფიკაციის, აღიარებისა და გაზომვის პრინციპების საფუძვლებს და მომზადებულია იმ მიზნით რომ კომპანიამ მოახდინა ფასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველადი გამოყენება“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების (მათ შორის, სტრუქტურული ერთეულების) ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში; და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიც ნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში, მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად. კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

- კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;
- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გათავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი.

საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან.

ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

კომპანიას ჯერ არ გამოუყენებია ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და რედაქტირებული ფასს-ები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ შესულა:

- ფასს 16 - იჯარა¹ ;
- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები² ;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით¹ ;
- შესწორებები ბასს 28 - გრძელვადიანი წილები ასოცირებულ პირებსა და ერთობლივ საწარმოებში³ ;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი¹ .
- შესწორებები ბასს 19 - თანამშრომელთა ანაზღაურება³ ;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა⁴ ;
- ფასს 10 - ცალკეული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 (შესწორება)⁵

1. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

2. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

3. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

4. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ან მთლიანად რეტროსპექტიული გამოყენებით ან მოდიფიცირებული რეტროსპექტიული გამოყენებით, ჯამური ინფორმაციის რეტროსპექტიულად ან პროსპექტიულად გადაფასების გარეშე;

5. სტანდარტების საბჭოს ძალაში შესვლის თარიღი ჯერ არ დაუდგენია; თუმცა, შესწორებათა ვადამდელი გამოყენებანებადართულია.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები

რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

3.2 ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.5922	2.6766
ლარი/1 ევრო	3.1044	3.0701

3.3 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში.

	31.12.2017	31.12.2018
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1 065	109 418
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	45	136 163
ნაღდი ფული სალაროში	165 229	3 613
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	166 339	249 193

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელიც კომპანიას წარმოეშვა დამკვეთისათვის პროდუქციის მიწოდებიდან, რომელიც მან დარიცხვის პრინციპის მიხედვით აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. კომპანიას გააჩნია გარკვეული რაოდენობის უიმედო ვალები, ამიტომ კომპანია ყოველწლიურად ახორციელებს მათი გარკვეული წილის ჩამოწერას. უიმედო ვალების წილი შეადგენს დებიტორების ნაშთების დაახლოებით 3%. შესაბამისად, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მენეჯმენტს აქვს დარეზერვებული მოთხოვნების 3%-იანი წილი.

	31.12.2017	31.12.2018
სავაჭრო მოთხოვნები	2 637 527	2 271 550
გადახდილი ავანსები	79 461	298 691
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	14 839	14 811
სულ მიმდინარე მოთხოვნები	2 731 827	2 585 052

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს მათ შეძენა-ტრანსპორტირებასთან და სარეალიზაციო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ძირითადად არ წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას, გამომდინარე აქედან, მას არ გააჩნია არაბრუნვადი მარაგები.

საოპერაციო საქმიანობისთვის კომპანია იყენებს მცირე რაოდენობით სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს, როგორცაა საწვავი. სხვა მარაგები, როგორცაა საკანცელარიო და სამეურნეო მასალები უმნიშვნელოა და აღირიცხება პირდაპირ ხარჯებში.

	31.12.2017	31.12.2018
გასაყიდად განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5 597 727	3 778 818
საწვავი	2 518	3 468
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5 600 245	3 782 286

3.6 გადასახადები

მიღებული ინფორმაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მიერ შესაბამისი გადასახადების გამოანგარიშებისა და დეკლარირების ნაწილში აუდიტორებად პერიოდში ადგილი არ ჰქონდა არსებით უზუსტობებს.

დეკლარაციები რიგ შემთხვევებში შევსებული არ არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით, რაც გულისხმობს დეკლარაციის გრაფებს შორის გადაცდენებს. საგადასახადო ბარათზე რიცხული კომბინირებული მონაცემები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ შეესაბამება ბუღალტრულ მონაცემს, თუმცა ბარათზე არსებული საგადასახადო აქტივი აღემატება ბუღალტრულად დაფიქსირებულ თანხას. აღნიშნული მუხლის სიზუსტეს ვერ ვადასტურებთ.

	31.12.2017	31.12.2018
საგადასახადო ვალდებულებები	(18 850)	216 530
სულ საგადასახადო ვალდებულებები	(18 850)	216 530

3.7 საინვესტიციო ქონება, ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხებს, რომლებიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში, ან ხდება მათი აღრიცხვა (აღიარება) ცალკეულ აქტივად იმ შემთხვევაში, თუ ნათელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება შესაძლებელია. აქტივების რემონტისა (შეკეთებისა) და შენახვის ღირებულება განიხილება კაპიტალიზირებად დანახარჯად, მათი წარმოჩენის პერიოდების მიხედვით და ზრდის აღნიშნული ძირითადი საშუალების ღირებულებას. აქტივების ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე მათი ღირებულება არ არის არსებითად შეცვლილი, რის გამოც არ საჭიროებს გადაფასებას. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც აქტივის ღირებულება დაგროვილი ცვეთით განულებულია მაგრამ საწარმო კვლავ იყენებს ასეთ ძირითად საშუალებას, შესაბამისად საჭიროა მათი აფასება რეალურ ღირებულებამდე.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა, შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გაიცემა იჯარით საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის გაზრდისათვის, და რომელსაც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი არ იყენებს და არ ფლობს გაყიდვის მიზნით. საინვესტიციო ქონებას განეკუთვნება ისეთი ქონებაც, რომლის მშენებლობა ან განახლება მიმდინარეობს საინვესტიციო ქონებად სამომავლო გამოყენებისთვის. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმოერედ ფასდება თვითღირებულების მეთოდის გამოყენებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება.

გამომუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

შემდგომი დანახარჯები მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, თუ ჯგუფი მოელის მისგან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას და თუ შესაძლებელია თვითღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები ტარდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მესაკუთრე, მაშინ ხდება მისი რეკლასიფიცირება შენობებად. მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიცირების თარიღისთვის ხდება მისი დასაშვები ღირებულება, რომელიც შემდგომში ცვეთას ექვემდებარება.

კონსოლიდაციის მიზნებისათვის ფართი რომელიც გაქირავებულია ჯგუფში შემავალ კომპანიაზე, არ კლასიფიცირდება საინვესტიციო ქონებად და ჯგუფისთვის წარმოადგენს ძირითად საშუალებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

კომპანიის ბალანსზე არსებული მატერიალური აქტივების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით, თუმცა შვილობილი საწარმო იყენებს ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდს შემდეგი საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით:

- შენობები - 5%;
- ოფისის აღჭურვილობა - 20%;
- ავეჯი და ინვენტარი 20%;
- კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა - 20%;
- სატრანსპორტო საშუალებები -20%.

შპს ლიბო გრუპ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მიწა	საინვესტიციო ქონება	მანქანა დანადგარები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობი	ავეჯი და ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	სხვა ძირითადი საშუალებ ები	სულ
საწყისი დირექტულება											
ბალანსი 01/01/2017	1 743 803	447 139	48 932	227 830	-	22 036	30 947	119 409	305	-	2 640 401
დანამატები	45 940			4 576	529 122	7 344	37 114	217 748	-	13 024	854 868
აქტივების ჩამოწერა				(45 940)		-	-	(4 927)	-		(50 867)
ცვეთა		(22 945)	(11 009)	-	(10 945)	(6 065)	(17 859)	(60 367)	(54)	(96)	(129 340)
პერიოდისათვის ჩამოწერილი						-		3 530	-		3 530
აქტივების ცვეთა											
ბალანსი 31/12/2017	1 789 743	424 194	37 923	186 466	518 177	23 315	50 201	275 393	251	12 928	3 318 592
დანამატები	5 984 580	-		49 610	238 123	27 849	31 747	190 896			6 522 804
აქტივების გასვლა								(15 000)			(15 000)
ცვეთა	-	(21 210)	(7 585)	-	(31 065)	(11 260)	(24 533)	(93 187)	(54)		(188 892)
პერიოდისათვის გასული აქტივების	-			-			-	15 000			15 000
ცვეთა											
ბალანსი 31/12/2018	7 774 323	402 984	30 338	236 076	725 235	39 904	57 415	373 103	197	12 928	9 652 504
ბალანსი 31/12/2017	1 789 743	424 194	37 923	186 466	518 177	23 315	50 201	275 393	251	12 928	3 318 592
ბალანსი 31/12/2018	7 774 323	402 984	30 338	236 076	725 235	39 904	57 415	373 103	197	12 928	9 652 504

3.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

საწარმოს ბალანსზე აღრიცხული აქვს გუდვილი ღირებულებით 2 064 484 ლარი, რომელიც წარმოიქმნა მშობელი საწარმოს მიერ შვილობილი საწარმოს შეძენისას წილის სანაცვლოდ გადახდილ თანხასა და შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულებას შორის. გუდვილი საჭიროებს ტესტის ჩატარებას გაუფასურებაზე, თუმცა საწარმოს ხემძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, წილის სანაცვლოდ მათთვის შეთავაზებული თანხა წილის შეძენის მსურველის მიერ ბევრად აღემატებოდა საწარმოს ამჟამინდელ წმინდა აქტივების ღირებულებას.

	პროგრამული უზრუნველყოფა	გუდვილი
საწყისი ღირებულება		
ბალანსი 31/12/2017	17438	2 064 484
აკუმულირებული ცვეთა		
ბალანსი 31/12/2017	17438	2064484
დანამატი	2246	
ცვეთა პერიოდისათვის		
ბალანსი 31/12/2017	19 684	2 064 484
ბალანსი 31/12/2017	19 684	2 064 484
ბალანსი 31/12/2018	19 684	2 064 484

3.9 კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალუტაში არსებული ვალდებულებები პერიოდის ბოლოს გადაფასდება საანგარიშგებო დღის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას ასევე გააჩნია ავანსად მიღებული თანხის შესაბამისად გასაწევი ვალდებულებები.

	31.12.2017	31.12.2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1 804 344	1 520 593
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		64 898
მიღებული ავანსები	3 212	3 031
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1 807 556	1 588 521

3.10 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. პირველადი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, შესაბამისი სასესხო გრაფიკის მიხედვით. კომპანია არ იყენებს ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	31.12.2017	31.12.2018
სს საქართველოს ბანკი	დოლარი	257 288	
სს საქართველოს ბანკი	დოლარი	444 395	
სს საქართველოს ბანკი	ევრო	1 243 290	3 601 968
სულ მოკლევადიანი სესხები		1 944 973	3 601 968

გრძელვადიანი სესხები

	ვალუტა	31.12.2017	31.12.2018
სს საქართველოს ბანკი	დოლარი	160 053	
სს საქართველოს ბანკი	ევრო		4 441 717
სულ გრძელვადიანი სესხები		160 053	4 441 717

3.11 კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

3.12 შემოსავალი

ჯგუფის შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის და საქონლის მიწოდების შემდგომ. ფინანსურ ანგარიშგებაში

შპს ლიბო გრუპ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა
განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ამონაგები წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე ღირებულებით.

	31.12.2017	31.12.2018
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	258 585	140 866
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	27 726 349	28 105 898
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(453 324)	(891 987)
წმინდა შემოსავალი	27 531 610	27 354 777

3.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგი საქონლის რეალიზაციის თვითღირებულებისაგან და იმ ხარჯებისგან რომელიც გაწეულია ამ პროდუქციის და მომსახურების მიწოდებაზე.

	31.12.2017	31.12.2018
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	23 685 718	24 423 011
საქონლის უკან დაბრუნება	(144 318)	(155 733)
სულ გაყიდული პროდუქციის და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	23 541 400	24 267 278

3.14 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

	31.12.2017	31.12.2018
რეკლამის ხარჯები	371 278	337 639
მივლინებების ხარჯები (კომერციული)	41 769	36 003
ა.მანქანის შეკეთების ხარჯი	59 324	105 032
საოფისე ხარჯი	17 250	13 316
დაცვის მომსახურება	3 292	4 953
წყალი	2 548	3 442
სალარო აპარატის ტექ. მომსახურება	1 900	2 830
გაზი	4 809	5 604
დღგს ხარჯი	61 505	127 027
შრომის ანაზღაურება	2 238 305	2 803 103
საიჯარო ქირა	270 487	319 147
საკანცელარიო ხარჯები	5 970	8 819
საოფისე ინვენტარის ხარჯები	17	
კომუნიკაციის ხარჯები	4 867	17 652
საწვავის ხარჯები	180 323	333 559
ელექტროენერგია	3 615	12 932
კომპიუტერის ხარჯები	4 952	4 871
საკონსულტაციო ხარჯები	39 945	57 542

შპს ლიბო გრუპ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა
განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ცვეთა და ამორტიზაცია	129 880	188 892
უიმედო და საეჭვო მოთხოვნების ხარჯი	84 053	142 904
დებიტორების ჩამოწერა	74 808	
სხვა საგადასახადო ხარჯები	32 731	
საბანკო ხარჯები	46 693	66 926
წარმომადგენლობითი ხარჯები	1 948	12 359
სხვა საერთო ხარჯები	55 342	64 182
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	3 737 612	4 668 735

4. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ა) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას (ევრო). 2018 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან. თუმცა მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები გულისხმობს, ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს არსებული მოთხოვნების იდენტიფიცირებას და მათი შესაბამისი ფულადი სახსრების მიღებას რაც განაპირობებს საკრედიტო რისკების მინიმიზაციას.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების

შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების და პაკიტალის ზრდის გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

5 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, პოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები.

ი/მ დავით დუდუჩავა

300 690

სატრანსპორტო მომსახურება

შპს ჯი-ტრანს

455 778

მიღებული მარაგები

შპს ფინქელ

81 104

6 - სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე პერიოდში არსებით თანხაზე სასამართლო დავა, რომელმაც შესაძლო გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე. დავების აბსოლუტური უმრავლესობაში კომპანია წარმოადგენს მომჩივანს, რაც განპირობებულია მათ მიერ მოპოვებული ექსკლუზივის უნებართვოდ გამოყენებით სხვა კომპანიების მიერ.

7 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ ჯგუფის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

8 - ბალანსის შემდგომი მოვლენები


საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ ჯგუფის შიგნით ადგილი არ ჰქონია ისეთ ოპერაციებს, რაც არსებით გავლენას იქონიებს შემდგომი წლების ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მმართველობითი ანგარიშგება
LiboGroup LTD

LIBOgroup

DISTRIBUTION COMPANY

9/30/2019



შესავალი

შპს ლიბოგრუპ, დაფუძნებული 2007 წელს, წარმოადგენს სადისტრიბუციო ინდუსტრიის ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას საქართველოში, კომპანია ემსახურება 6500 ობიექტს სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე და ახდენს რეექსპორტს სომხეთში.

კომპანია საქართველოს ბაზარზე ოპერირებს 11 წლის მანძილზე. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა პროფილის პროდუქციის იმპორტი და გასაღება, ასევე კომპანია ფლობს სხვადასხვა არაპროფილურ აქტივებს.

შპს. ლიბოგრუპი თანამშრომლობს 8 მსხვილ მომწოდებელთან:

- ბელგიური საერთაშორისო კომპანია OntexGlobal
- გერმანული საერთაშორისო კომპანია Henkel
- უკრაინული კომპანია Slobojanski Soap Boiler
- უკრაინული კომპანია Ergopack
- თურქული კომპანია Beyaz Kagit
- რუსული კომპანია Fito Doctor
- რუსული კომპანია Fito Cosmetics
- თურქული კომპანია Gulshah

მთავარი ბრენდებია:

OntexGlobal-ქანბეზე, ქანპედი, ჰელენჰარპერი. - გაყიდვების 65%

Beyaz Kagit - პეროსი, კლიქსი - 10%

Slobojanski Soap Boiler -შიკი, უტიპუტი, პოშე, დრუგი, ოდა, სილა - გაყიდვების 10%

Ergopack - მელოჩი ჟიზნი, აქცია - 11%

Fito Doctor - საბავშვო კრემი 1%

Fito Cosmetics - ფიტოკოსმეტიკის კოსმეტიკა, ფიტოდოქტორის საღებავი - 1%

Henkel - მომენტი - 1%

Gulshah - პოზი - 1%



ბიზნეს სტრატეგიის ანალიზი

ინდუსტრიების ანალიზი

შპს ლიბოგრუპი მოდერნიზაციას სადისტრიბუციო ინდუსტრიაში და მისი სარეალიზაციო არხები აერთიანებს რამდენიმე მსხვილ ტიპს.

კომპანიის გასაღების ერთ ერთი არხია საცალო შემსყიდველები, რომელიც მოიცავს როგორც კომპანიის მიერ დანერგილ ინოვაციურ ონლაინ შესყიდვების პროგრამას, ასევე მცირე და საშუალო მეწარმეებს.

კომპანიის გასაღების მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენენ კორპორატიული კლიენტები, როგორებიცაა ფარმაცევტული კომპანიები და მსხვილი სუპერმარკეტების ქსელები.

დღემდე კომპანიის გასაღების ერთ-ერთი მთავარი არხია საბითუმო ბაზრები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ასევე კომპანია ახდენს პროდუქციის რეექსპორტს სომხეთის მიმართულებით, სადაც ხდება პარტნიორების მიერ პროდუქციის საცალო მოვაჭრეებამდე მიტანა.

2018 წელს კომპანიამ შეიძინა უძრავი ქონება თბილისში, მიწა - შენობა-ნაგებობით შემდგომი რეალიზაციისთვის. ამ მიწის ნაწილის რეალიზაცია განხორციელდა 2019 წელს. აღნიშნულმა ოპერაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის მოგება.

საცალო ინდუსტრიის ანალიზი:

კომპანიამ 2018 წლიდან დანერგა ინოვაციური პროდუქტი, ონლაინ შესყიდვების შესაძლებლობა პირდაპირ კომპანიის საწყობებიდან შუამავლების გარეშე. ამ ნაბიჯმა მრავალ მომხმარებელს შესაძლებლობა მისცა სახლიდან გაუსვლელად, შეღავათიან ფასებში მიეღო კომპანიის პროდუქციის ყველა სახეობა.

საცალო გაყიდვების არხის შემდეგ ტიპს წარმოადგენენ ისეთი წვრილი შემსყიდველები, როგორებიცაა ინდ. მეწარმეები და მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელები.

უნდა აღინიშნოს, რომ საცალო ინდუსტრია გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია და ის მთლიანი გაყიდვების 20%-ს შეადგენს. ონლაინ გაყიდვები ინოვაციური პროდუქტია, რომელიც მაღალი ზრდის ტემპებით ხასიათდება, სხვა მცირე შემსყიდველები კი შედარებით ნაკლებად მზარდ ბაზარს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ გაყიდვების ინდუსტრია ხასიათდება დაბალი კონკურენციით, ეს სეგმენტი ნაკლებად ფრაგმენტულია, საფასო კონკურენციისგან თავის არიდება ხდება, თუმცა სამომავლოდ მსგავსი პროდუქტის სხვა ფირმების მიერ დამატების შემთხვევაში ეს პროცესი გამძაფრდება და ზრდის ტემპის შენარჩუნებისთვის კონკრეტული ნაბიჯები იქნება გადასადგმელი.



სხვა მცირე შემსყიდველების ბაზარი მეტად კონცენტრირებულია, კონკურენტი კომპანიები ცდილობენ გამუდმებულ ფასისმიერ კონკურენციას, რაც ამ ბაზარს ნაკლებად მიზმიდევლს ხდის. ასევე მცირე და საშუალო შემსყიდველების საერთო ბაზარი მცირდება ინსტიტუციონალური შემსყიდველების ბაზრის წილის ზრდის ხარჯზე.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ კონკურენცია არსებულ ფირმებს შორის არც თუ ისე მძაფრია პირდაპირი გაყიდვების შემთხვევაში. ონლაინ გაყიდვების ინდუსტრიის მზარდობა შესაძლებელს ხდის ეკონომიკური სარგებლის ნახვას მიუხედავად მცირე და საშუალო-ბიზნესის სეგმენტში არსებული კონკურენტული გარემოსი.

საბითუმო შემსყიდველები

კორპორაციული კლიენტები - ეს სეგმენტი ფირმის გაყიდვების დაახლოებით 70% შეადგენს.

სეგმენტში გამოიყოფა 2 ჯგუფი, საბითუმო შემსყიდველი კორპორაციები - პსპ, ავერსი, გეფა, სამშობიაროები და საავადმყოფოები, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ. - რომლებიც გაყიდვების 35% შეადგენს. მოცემული ჯგუფი მზარდი გაყიდვების ტემპით ხასიათდება. რაც კომპანიის სტაბილურობას ხელს უწყობს და აძლევს საშუალებას მოახდინოს დიფერენცირება, შედარებით მცირე საფასო კონკურენციის პირობებში, ვიდრე ეს ბაზრებშია.

მეორე ჯგუფია - საბითუმოდ მოვაჭრე ბაზრები, რომლებიც კლებადი ტრენდით ხასიათდება, ბაზრების შემთხვევაში კომპანიას უხდება სხვადასხვა პროდუქციის მიმართლებით აქტიური საფასო კონკურენცია შედარებით დაბალხარისხიან პროდუქციასთან.

საბითუმო შემსყიდველების ინდუსტრიის სტრუქტურის ცვლილება და სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება კორპორაციული კლიენტებისა და სახელმწიფო შესყიდვებისთვის, კომპანიას სძენს მეტ სტაბილურობას, აძლევს დიფერენციაციისა და მზარდი ეკონომიკური მოგების მიღების შესაძლებლობას.

ექსპორტი სომხეთში

სომხეთის ბაზარი გამოირჩევა ნეკლები სტაბილურობით, გაყიდვები ყოველწლიურად მერყეობს 10%-ს ფარგლებში. მოცემული ბაზარი ფასის მიმართ სენსიტიურია, ლიბოგრუპი გეგმავს ინდივიდუალური საფასო პოლიტიკით მოცემული ბაზრის გასაღების არხების მეტ დატვირთვასა და ყოველწლიურ 10%-იან ზრდას.



საბოლოო ჯამში კომპანიის გაყიდვებს მზარდი ხასიათი აქვს, მასზე მოქმედი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამოსაყოფია ვალუტის კურსის არასტაბილურობა, რაც დადებული კონტრაქტების პირობებში კომპანიის მომგებიანობაში მცირე რყევებს იწვევს და მსყიდველობითუნარიანობის შემცირება, რაც არაპირველადი პროდუქციის გაყიდვებს ეხება.

კომპანიის ძირითადი პროდუქციაა ონტექსის პროდუქციის ქვეშ გაერთიანებული ბრენდი ქანბე, რომელსაც ბავშვის საფენების ბაზრის 25% უკავია. ონტექსის პროდუქცია კი კომპანიის გაყიდვების 60%-ს იკავებს.

ბრენები

კომპანია ფლობს საწყობებს ბათუმში, ქუთაისში, გორში, თბილისსა და გურჯაანში, რითაც ხდება საქართველოს ტერიტორიის მოცვა.

შპს. ლიბოგრუპი აერთიანებს 150 თანამშრომელზე მეტს, რომლიდანაც 48 პირდაპირი მიმწოდებელია, 21 ობიექტების პრომოუშენს ახდენს, 36 გაყიდვების აგენტია, დანარჩენი კი ადმინისტრაციამა დასაქმებული.

კორპორატიული კლიენტები

ლიბოგრუპის ერთ-ერთი შედარებითი უპირატესობაა მასშტაბის ეკონომიურობა. ბაზარზე ახალ შემომსვლელს უწევს ძალიან დიდი მარკეტინგული დანახარჯების გაღება რათა მომგებიან გასაღების არხებს დაუფლონ, ასევე გასათვალისწინებელია ის ინფორმაციული ბაზა, რომელიც მოსმახურებას უფრო ეფექტურს ხდის და ახალ მოთამაშეებს არ გააჩნიათ.

ინდუსტრიაში მნიშვნელოვანია პირველი მოთამაშის უპირატესობა. პირველ რიგში, ინდუსტრიაში უკვე დამკვიდრებულია მომსახურებისა და პაკეტების სტანდარტი. მომხმარებელი მიჩვეულნი არიან მას.



კონკურენტული სტრატეგიის ანალიზი

ლიბოგრუპის მიერ შემოთავაზებულ პროდუქციის ტიპებში განსხვავებული კონკურენტული გარემოა. პორტფელში არსებული პროდუქტების ნაწილი ფასებით კონკურენციაშია, ნაწილი კი დიფერენციაციის სტრატეგიას მიმართავს.

საბავშვო საფენების სეგმენტი ფასისმიერი ლიდერობის მაგალითია. თუმცა აქაც ხდება დიფერენცირება და შემოთავაზებულია ქანბებე პრემიუმი, რომელიც ბაზარზე უმაღლესი კლასის ევროპულ პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს. მნიშვნელოვანი ეფექტიანი მიწოდების გზები, გამარტივებული პროდუქტების შეთავაზება გვაქვს მიწოდების საკმაოდ ეფექტიანი და დაბალდანახარჯიანი გზები ონლაინ გაყიდვების შემთხვევაში, ზოგადად საბავშვო საფენებისა და ჰიგიენის პროდუქციის ბაზარი ნაკლებად ხდება კონცენტრირებული მსხვილი კორპორაციული შემსყიდველების წილის ზრდის ხარჯზე და ლიბოგრუპის ფასისა და ხარისხის ერთობლიობა მისი წილის შენარჩუნებისა და გაზრდის გარანტია.

სადისტრიბუციო ინდუსტრიაში ლიბოგრუპი გამოირჩევა კონკურენტუნარიანობით, რაც გამოწვეულია მის მიერ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელისა და სასაწყობო აქტივების ფლობით, გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვით, საუკეთესო მარაგების მართვის სისტემების ფლობით და წლების განმავლობაში დაგროვილი უნიკალური გამოცდილებით. შესაბამისად, ხდება არსებული ბრენდების შეთავაზებების მუდმივი გაფართოება, ხოლო უკვე არსებული მიმწოდებლები მუდმივად ცდილობენ გრძელვადიან თანამშრომლებას.

არსებული კონკურენტული უპირატესობების ფონზე, ასევე დაგეგმილი სასაწყობო სისტემის რეფორმის პირობებში სავარაუდოა, რომ ლიბოგრუპი შეძლებს გრძელ ვადაში სადისტრიბუციო ინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად დარჩენასა და საკუთარი წილის სტაბილურ ზრდას.



კორპორაციული ანალიზი

სამომავლო განვითარების გეგმები:

კომპანია გეგმავს საკუთარი შეთავაზებების გაზრდასა და არსებული ბრენდების საბაზრო წილის ზრდას. კორპორაციული შეყიდვების წილის ზრდის ხარჯზე და მსხვილ შემწყიდველებთან გაფორმებული კონტრაქტების მეშვეობით მოხდება საერთო გაყიდვების ტემპის ზრდა.

სამომავლო განვითარების გეგმის მეორე ნაწილია შედარებით ახალი ბრენდების გაყიდვების სწრაფი ზრდა და პორტფელის დაბალანსება. ქროს-სელინგის მეშვეობით მოხდება შედარებით ნაკლებად ცნობილი ბრენდების ცნობადობისა და გაყიდვების გაზრდა. 2019 წელს კომპანიამ დაიმატა ირანული ბრენდი ავე, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში გაყიდვების დიდ წილს ფლობს.

კორპორაციული სტრატეგიის განხილვისას მნიშვნელოვანია გავანალიზოთ თუ რამდენად ახერხებს კომპანია მერჯერებისა და შესყიდვების გზით დანახარჯების შემცირებას. სინერგიის ეფექტი მიიღწევა, როდესაც პორტფელში არსებული ორი ფირმა თანაარსებობს და საბაზრო პირობების ტრანზაქციაზე ნაკლებდანახარჯიანად იქმნება შედეგი. ამ შემთხვევაში შპს ლიბოგრუპის პორტფელი აერთიანებს კომპლემენტარულ ბრენდებს, რაც გაყიდვების სტაბილური ზრდის მნიშვნელოვან გარანტს იძლევა.

ასევე ლიბოგრუპი ახდენს კონცენტრირებას უცხოურ ბაზრებზე, გეგმავს სომხეთში წილის ზრდას და სხვა რეგიონების ათვისებას.

კორპორაციული სტრატეგიის შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ლიბოგრუპი საკუთარ პორტფელში თანადაკავშირებული ბრენდების გაერთიანებით აღწევს სინერგიის ეფექტს და ასევე არ კარგავს ძირითად საქმიანობაზე ფოკუსს.

საბოლოო გაყიდვების შემთხვევაში ცხადი, რომ ფასისმიერი ლიდერობისა და დიფერენცირების შერეული სტრატეგია უზრუნველყოფს მომგებიანობას და ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე ამ მომგებიანობის გრძელვადიანად გაგრძელება შესაძლებელია პირდაპირი გაყიდვების წილის გაზრდის შემთხვევაში, მიუხედავად მცირე და საშუალო შემწყიდველების წილის კლებისა.

საბოლოო მიმართულების ანალიზით ცხადი ხდება, რომ კომპანია მსხვილ ქსელებში შესვლით, საბოლოო შემსყიდველებთან კონტრაქტების დადების გზით ფარავს შემცურებულ საბაზრო გაყიდვებს და საერთო ჯამში ინარჩუნებს მზარდ ტემპებს.





9/30/2019

შესავალი

შპს ლიბოგრუპ, დაფუძნებული 2007 წელს, წარმოადგენს სადისტრიბუციო ინდუსტრიის ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას საქართველოში, კომპანია ემსახურება 6500 ობიექტს სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე და ახდენს რეექსპორტს სომხეთში.

კომპანია საქართველოს ბაზარზე ოპერირებს 11 წლის მანძილზე. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა პროფილის პროდუქციის იმპორტი და გასაღება, ასევე კომპანია ფლობს სხვადასხვა არაპროფილურ აქტივებს.

შპს. ლიბოგრუპი თანამშრომლობს 8 მსხვილ მომწოდებელთან:

- ბელგიური საერთაშორისო კომპანია OntexGlobal
- გერმანული საერთაშორისო კომპანია Henkel
- უკრაინული კომპანია Slobojanski Soap Boiler
- უკრაინული კომპანია Ergopack
- თურქული კომპანია Beyaz Kagit
- რუსული კომპანია Fito Doctor
- რუსული კომპანია Fito Cosmetics
- თურქული კომპანია Gulshah

მთავარი ბრენდებია:

OntexGlobal-ქანბეზე, ქანპედი, ჰელენჰარპერი. - გაყიდვების 65%

Beyaz Kagit - პეროსი, კლიქსი - 10%

Slobojanski Soap Boiler - შიკი, უტიპუტი, პოშე, დრუგი, ოდა, სილა - გაყიდვების 10%

Ergopack - მელოჩი ჟიზნი, აქცია - 11%

Fito Doctor - საბავშვო კრემი 1%

Fito Cosmetics - ფიტოკოსმეტიკის კოსმეტიკა, ფიტოდოქტორის საღებავი - 1%

Henkel - მომენტი - 1%

Gulshah - პოზი - 1%

ბიზნეს სტრატეგიის ანალიზი

ინდუსტრიების ანალიზი

შპს ლიბოგრუპ მოღვაწეობს სადისტრიბუციო ინდუსტრიაში და მისი სარეალიზაციო არხები აერთიანებს რამდენიმე მსხვილ ტიპს.

კომპანიის გასაღების ერთ-ერთი არხია საცალო შემსყიდველები, რომელიც მოიცავს როგორც კომპანიის მიერ დანერგილ ინოვაციურ ონლაინ შესყიდვების პროგრამას, ასევე მცირე და საშუალო მეწარმეებს.

კომპანიის გასაღების მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენენ კორპორატიული კლიენტები, როგორებიცაა ფარმაცევტული კომპანიები და მსხვილი სუპერმარკეტების ქსელები.

დღემდე კომპანიის გასაღების ერთ-ერთი მთავარი არხია საბითუმო ბაზრები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ასევე კომპანია ახდენს პროდუქციის რეექსპორტს სომხეთის მიმართულებით, სადაც ხდება პარტნიორების მიერ პროდუქციის საცალო მოვაჭრეებამდე მიტანა.

2018 წელს კომპანიამ შეიძინა უძრავი ქონება თბილისში, მიწა - შენობა-ნაგებობით შემდგომი რეალიზაციისთვის. ამ მიწის ნაწილის რეალიზაცია განხორციელდა 2019 წელს. აღნიშნულმა ოპერაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა კომპანიის მოგება.

საცალო ინდუსტრიის ანალიზი:

კომპანიამ 2018 წლიდან დანერგა ინოვაციური პროდუქტი, ონლაინ შესყიდვების შესაძლებლობა პირდაპირ კომპანიის საწყობებიდან შუამავლების გარეშე. ამ ნაბიჯმა მრავალ მომხმარებელს შესაძლებლობა მისცა სახლიდან გაუსვლელად, შეღავათიან ფასებში მიეღო კომპანიის პროდუქციის ყველა სახეობა.

საცალო გაყიდვების არხის შემდეგ ტიპს წარმოადგენენ ისეთი წვრილი შემწყიდველები, როგორებიცაა ინდ.მეწარმეები და მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელები.

უნდა აღინიშნოს, რომ საცალო ინდუსტრია გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია და ის მთლიანი გაყიდვების 20%-ს შეადგენს. ონლაინ გაყიდვები ინოვაციური პროდუქტია, რომელიც მაღალი ზრდის ტემპებით ხასიათდება, სხვა მცირე შემსყიდველები კი შედარებით ნაკლებად მზარდ ბაზარს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ონლაინ გაყიდვების ინდუსტრია ხასიათდება დაბალი კონკურენციით, ეს სეგმენტი ნაკლებად ფრაგმენტულია, საფასო კონკურენციისგან თავის არიდება ხდება, თუმცა სამომავლოდ მსგავსი პროდუქტის სხვა ფორმების მიერ დამატების შემთხვევაში ეს პროცესი გამძაფრდება და ზრდის ტემპის შენარჩუნებისთვის კონკრეტული ნაბიჯები იქნება გადასადგმელი.

სხვა მცირე შემსყიდველების ბაზარი მეტად კონცენტრირებულია, კონკურენტი კომპანიები ცდილობენ გამუდმებულ ფასისმიერ კონკურენციას, რაც ამ ბაზარს ნაკლებად მიზმიდევლს ხდის. ასევე მცირე და საშუალო შემსყიდველების საერთო ბაზარი მცირდება ინსტიტუციონალური შემსყიდველების ბაზრის წილის ზრდის ხარჯზე.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ კონკურენცია არსებულ ფირმებს შორის არც თუ ისე მძაფრია პირდაპირი გაყიდვების შემთხვევაში. ონლაინ გაყიდვების ინდუსტრიის მზარდობა შესაძლებელს ხდის ეკონომიკური სარგებლის ნახვას მიუხედავად მცირე და საშუალო-ბიზნესის სეგმენტში არსებული კონკურენტული გარემოსი.

საბითუმო შემსყიდველები

კორპორაციული კლიენტები - ეს სეგმენტი ფირმის გაყიდვების დაახლოებით 70% შეადგენს.

სეგმენტში გამოიყოფა 2 ჯგუფი, საბითუმო შემსყიდველი კორპორაციები - პსპ, ავერსი, გეფა, სამშობიაროები და საავადმყოფოები, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ. - რომლებიც გაყიდვების 35% შეადგენს. მოცემული ჯგუფი მზარდი გაყიდვების ტემპით ხასიათდება. რაც კომპანიის სტაბილურობას ხელს უწყობს და აძლევს საშუალებას მოახდინოს დიფერენცირება, შედარებით მცირე საფასო კონკურენციის პირობებში, ვიდრე ეს ბაზრებშია.

მეორე ჯგუფია - საბითუმოდ მოვაჭრე ბაზრები, რომლებიც კლებადი ტრენდით ხასიათდება, ბაზრების შემთხვევაში კომპანიას უხდება სხვადასხვა პროდუქციის მიმართლებით აქტიური საფასო კონკურენცია შედარებით დაბალხარისხიან პროდუქციასთან.

საბითუმო შემსყიდველების ინდუსტრიის სტრუქტურის ცვლილება და სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება კორპორაციული კლიენტებისა და სახელმწიფო შესყიდვებისთვის, კომპანიას სძენს მეტ სტაბილურობას, აძლევს დიფერენციაციისა და მზარდი ეკონომიკური მოგების მიღების შესაძლებლობას.

ექსპორტი სომხეთში

სომხეთის ბაზარი გამოირჩევა ნეკლები სტაბილურობით, გაყიდვები ყოველწლიურად მერყეობს 10%-ს ფარგლებში. მოცემული ბაზარი ფასის მიმართ სენსიტიურია, ლიბოგრუპი გეგმავს ინდივიდუალური საფასო პოლიტიკით მოცემული ბაზრის გასაღების არხების მეტ დატვირთვასა და ყოველწლიურ 10%-იან ზრდას.

საბოლოო ჯამში კომპანიის გაყიდვებს მზარდი ხასიათი აქვს, მასზე მოქმედი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამოსაყოფია ვალუტის კურსის არასტაბილურობა, რაც დადებული კონტრაქტების პირობებში კომპანიის მომგებიანობაში მცირე რყევებს იწვევს და მსყიდველობითუნარიანობის შემცირება, რაც არაპირველადი პროდუქციის გაყიდვებს ეხება.

კომპანიის ძირითადი პროდუქციაა ონტექსის პროდუქციის ქვეშ გაერთიანებული ბრენდი ქანბებე, რომელსაც ბავშვის საფენების ბაზრის 25% უკავია. ონტექსის პროდუქცია კი კომპანიის გაყიდვების 60%-ს იკავებს.

ბრენჩები

კომპანია ფლობს საწყობებს ბათუმში, ქუთაისში, გორში, თბილისსა და გურჯაანში, რითაც ხდება საქართველოს ტერიტორიის მოცვა.

შპს. ლიბოგრუპი აერთიანებს 150 თანამშრომელზე მეტს, რომლიდანაც 48 პირდაპირი მიმწოდებელია, 21 ობიექტების პრომოუშენს ახდენს, 36 გაყიდვების აგენტია, დანარჩენი კი ადმინისტრაციაშია დასაქმებული.

კორპორატიული კლიენტები

ლიბოგრუპის ერთ-ერთი შედარებითი უპირატესობაა მასშტაბის ეკონომიურობა. ბაზარზე ახალ შემომსვლელს უწევს ძალიან დიდი მარკეტინგული დანახარჯების გაღება რათა მომგებიან გასაღების არხებს დაეუფლონ, ასევე გასათვალისწინებელია ის ინფორმაციული ბაზა, რომელიც მოსმახურებს უფრო ეფექტურს ხდის და ახალ მოთამაშეებს არ გააჩნიათ.

ინდუსტრიაში მნიშვნელოვანია პირველი მოთამაშის უპირატესობა. პირველ რიგში, ინდუსტრიაში უკვე დამკვიდრებულია მომსახურებისა და პაკეტების სტანდარტი. მომხმარებელი მიჩვეულნი არიან მას.

კონკურენტული სტრატეგიის ანალიზი

ლიბოგრუპის მიერ შემოთავაზებულ პროდუქციის ტიპებში განსხვავებული კონკურენტული გარემოა. პორტფელში არსებული პროდუქტების ნაწილი ფასებით კონკურენციაშია, ნაწილი კი დიფერენციაციის სტრატეგიას მიმართავს.

საბავშვო საფენების სეგმენტი ფასისმიერი ლიდერობის მაგალითია. თუმცა აქაც ხდება დიფერენცირება და შემოთავაზებულია ქანბეზე პრემიუმი, რომელიც ბაზარზე უმაღლესი კლასის ევროპულ პროდუქტს სთავაზობს მომხმარებელს. მნიშვნელოვანი ეფექტიანი მიწოდების გზები, გამარტივებული პროდუქტების შეთავაზება. გვაქვს მიწოდების საკმაოდ ეფექტიანი და დაბალდანახარჯიანი გზები ონლაინ გაყიდვების შემთხვევაში, ზოგადად საბავშვო საფენებისა და ჰიგიენის პროდუქციის ბაზარი ნაკლებად ხდება კონცენტრირებული მსხვილი კორპორაციული შემსყიდველების წილის ზრდის ხარჯზე და ლიბოგრუპის ფასისა და ხარისხის ერთობლიობა მისი წილის შენარჩუნებისა და გაზრდის გარანტია.

სადისტრიბუციო ინდუსტრიაში ლიბოგრუპი გამოირჩევა კონკურენტუნარიანობით, რაც გამოწვეულია მის მიერ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელისა და სასაწყობე აქტივების ფლობით, გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვით, საუკეთესო მარაგების მართვის სისტემების ფლობით და წლების განმავლობაში დაგროვილი უნიკალური გამოცდილებით. შესაბამისად, ხდება არსებული ბრენდების შეთავაზებების მუდმივი გაფართოება, ხოლო უკვე არსებული მიმწოდებლები მუდმივად ცდილობენ გრძელვადიან თანამშრომლებას.

არსებული კონკურენტული უპირატესობების ფონზე, ასევე დაგეგმილი სასაწყობე სისტემის რეფორმის პირობებში სავარაუდოა, რომ ლიბოგრუპი შეძლებს გრძელ ვადაში სადისტრიბუციო ინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად დარჩენასა და საკუთარი წილის სტაბილურ ზრდას.

კორპორაციული ანალიზი

სამომავლო განვითარების გეგმები:

კომპანია გეგმავს საკუთარი შეთავაზებების გაზრდასა და არსებული ბრენდების საბაზრო წილის ზრდას. კორპორაციული შეყიდვების წილის ზრდის ხარჯზე და მსხვილ შემწყიდველებთან გაფორმებული კონტრაქტების მეშვეობით მოხდება საერთო გაყიდვების ტემპის ზრდა.

სამომავლო განვითარების გეგმის მეორე ნაწილია შედარებით ახალი ბრენდების გაყიდვების სწრაფი ზრდა და პორტფელის დაბალანსება. ქროს-სელინგის მეშვეობით მოხდება შედარებით ნაკლებად ცნობილი ბრენდების ცნობადობისა და გაყიდვების გაზრდა. 2019 წელს კომპანიამ დაიმატა ირანული ბრენდი ავე, რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში გაყიდვების დიდ წილს ფლობს.

კორპორაციული სტრატეგიის განხილვისას მნიშვნელოვანია გავანალიზოთ თუ რამდენად ახერხებს კომპანია მერჯერებისა და შესყიდვების გზით დანახარჯების შემცირებას. სინერგიის ეფექტი მიიღწევა, როდესაც პორტფელში არსებული ორი ფირმა თანაარსებობს და საბაზრო პირობების ტრანზაქციაზე ნაკლებდანახარჯიანად იქმნება შედეგი. ამ შემთხვევაში შპს ლიბოგრუპის პორტფელი აერთიანებს კომპლემენტარულ ბრენდებს, რაც გაყიდვების სტაბილური ზრდის მნიშვნელოვან გარანტს იძლევა.

ასევე ლიბოგრუპი ახდენს კონცენტრირებას უცხოურ ბაზრებზე, გეგმავს სომხეთში წილის ზრდას და სხვა რეგიონების ათვისებას.

კორპორაციული სტრატეგიის შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ლიბოგრუპი საკუთარ პორტფელში თანადაკავშირებული ბრენდების გაერთიანებით აღწევს სინერგიის ეფექტს და ასევე არ კარგავს ძირითად საქმიანობაზე ფოკუსს.

საცალო გაყიდვების შემთხვევაში ცხადი, რომ ფასისმიერი ლიდერობისა და დიფერენცირების შერეული სტრატეგია უზრუნველყოფს მომგებიანობას და ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე ამ მომგებიანობის გრძელვადიანად გაგრძელება შესაძლებელია პირდაპირი გაყიდვების წილის გაზრდის შემთხვევაში, მიუხედავად მცირე და საშუალო შემწყიდველების წილის კლებისა.

საბითუმო მიმართულების ანალიზით ცხადი ხდება, რომ კომპანია მსხვილ ქსელებში შესვლით, საბითუმო შემსყიდველებთან კონტრაქტების დადების გზით ფარავს შემცურებულ საბაზრო გაყიდვებს და საერთო ჯამში ინარჩუნებს მზარდ ტემპებს.